ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01240962280**
თარიღი: **05/04/2024**

ადრესატი: შპს ეი იქს AX
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400107273
მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ქვიშხეთის ქ., კორპ. ა, ბ. 66

თქვენი 02.04.2024წ. N10/0124093923-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ქუჩა ერწო , N 15 ; ქალაქი თბილისი , ერწოს ქ. , N15-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ერწო , N 17 ; ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა კორპ.N13-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი:01.12.08.010.116) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.04.2023წ. N6430369 ბრძანებით განსაზღვრული I-III ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

Ns studio
0179 ბაზალეთის ჭუჩა №3
ქ. თბილისი, საქართველო

Tel: 593 27 88 58
info@nsstudio.ge

ქ. თბილისი, ერწოს ქუჩა, ს/კ
01.12.08.010.116
მრავალბინიანი საცხოვრებელი
სახლი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
/დარჩენილი სამუშაოები/

ლუკა ჩაგანავა

ნინო ჭანტურია

დავით ბალავაძე

ბელა გოგოლაური

ქ. თბილისი 2026წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი /A-4/;

ბ/--კალენდარული გეგმა /A-2/;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1 /A-3/

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ობიექტი შენდება თბილისში, ერწოს ქუჩა №15-ის მიმდებარედ, ს/კ01.12.08.010.116. იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. 0.00 შეესაბამება 455.20მ-ს. შენობა 16 სართულიანია ოთხი მიწისქვეშა სართულით, სადაც განლაგდება ავტოსადგომი.

ობიექტის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები-კოლონები, რიგელები მონოლითური რკინაბეტონისაგან. სართულშუა გადახურვა აგრეთვე იქნება მონოლითური რკინაბეტონის. საძირკველი იქნება გაძლიერებული რკინაბეტონის ფილა. სახურავი იქნება ბრტყელი. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს პროექტის კორექტირებას და დარჩენილი სამუშაოების შესრულებას.

ტექნიკური მაჩვენებლები კორექტირებული პროექტის მიხედვით:

--საცხოვრებელი ფართობი----------12826.50მ^2;
--საზაფხულო ფართობი----------2339.70მ^2;
--კომერციული ფართობი----------2318.10მ^2;
--აუზი----------238.50მ^2

სამშენებლო ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია **T=6.0 თვე.** მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

3. ქვაბულის დამუშავება უკვე შესრულებულია.

4. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ითვალისწინებს კოშკური ამწე **HENG-SHENG**-ს და სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715**-ის გამოყენებას.

კოშკური ამწის მუშაობისას **უნდა მოხდეს:**
--ისრის შემობრუნების შეზღუდვა /იხილე ნახაზი მო-2/;
--მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება;

--ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეული სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით;
--ლიფტიანი საწველის დაყენება მუშებისათვის.

მშენებლობის დარჩენილი რიგი და ეტაპები:
მეორე რიგი--------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:
--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------**120 დღე**;
--მეხუთე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**20 დღე**;
--მეექვსე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**90 დღე;**
--მეშვიდე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------**60 დღე**;
--მერვე ეტაპი-------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**45 დღე;**
--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**45 დღე;**
--მეათე ეტაპი---------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**15 დღე**.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.
სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:
კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.
კანონი "წყლის შესახებ" 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.
კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.
კანონი " მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998წ მოიცავს მავნე ნივთიერების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.
გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.
ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.
საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.
მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1 ერთად.

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1 დანადგარის ზომები----------3.00x1.39x1.39მ
2 მექანიზმის წონა----------1700.00კგ
3 წვდომა:
-ვერიკალურად----------60.00მ
-ჰორიზონტალურად----------200.00მ

SC1432---ის ტექნიკური დახასიათება

1 ტვირთამწეობა----------1400.00კგ
2 აწევის სიმაღლე----------200.00მ

HENG-SHENG ---ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის სიგრძე----------60.00მ
2 მაქსიმალური ტვირთამწეობა----------8.00ტნ
3 მინიმალური ტვირთამწეობა----------1.50ტნ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!



A3

ᲛᲝ-1

სათაური

საწყობებლო გენგეგმა

Ns studio

0179 ბაზალეთის ქუჩა №3
ქ. თბილისი, საქართველო

Tel: 593 27 88 58
info@nsstudio.ge

პროექტი

ქ. თბილისი, მოწყის ქუჩა, ს/კ 01.12.08.010.116
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

#20.03.2026

Cad Dwg File:

ლუკა ჩაბანაძა

ნინო ბანდიძა

ზაზი ბარამიძე

ბელა ბერძენიშვილი

Ns studio

N	სამუშაოების დასახელება	თვეები												
		დღე	1		2		3		4		5		6	
			15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15
	I რიგი მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები													
	მოსამზადებელი სამუშაობის პერიოდი													
I ეტაპი	მოსამზადებელი სამუშაოები (დასრულებული)	მესრულებულია												
II ეტაპი	შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება (დასრულებული)	მესრულებულია												
III ეტაპი	ქვაბულის მოჭრა (დასრულებული)	მესრულებულია												
	II რიგი -მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები													
	ძირითადი სამუშაობის პერიოდი													
I ეტაპი	შენობა ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები (A-E) ღერძებსა და 2-7 ღერძებს შორის													
II ეტაპი	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე (-8.70, -8.40, -5.60 და -2.80 ნიშნულებზე) შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით)													
III ეტაპი	ძირითადი კონსტრუქციული სისმტების მოწყობა შენობა-ნაგებობის +0.00 +3.50; +7.10; +10.50 და +13.90 ნიმნულებზე. შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისმტემის მოწყობა(არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით)													
IV ეტაპი	ძირითადი კონსტრუქციული სისმტების მოწყობა შენობა-ნაგებობის + 17.30; +20.70; +24.10 და +27.50 ნიმნულებზე; შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისმტემის მოწყობა(არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) (დროებითი პლატფორმის მოწყობა ტერასის გაკეთბისთვისა და მეცხრე ეტაპზე დაგეგმილი ტერასის მოპირკეთებისათვის)													
V ეტაპი	ძირითადი კონსტრუქციული სისმტების მოწყობა შენობა-ნაგებობის + 30.90; 34.30; 37.70 და +41.10 ნიმნულებზე; შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისმტემის მოწყობა(არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით)													
VI ეტაპი	ძირითადი კონსტრუქციული სისმტების მოწყობა შენობა-ნაგებობის + 44.50; +47.90; +51.30; +54.70 და +58.10 ნიმნულებზე; შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისმტემის მოწყობა(არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით)შენობა ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა არსებული შენობა ნაგებობის დემონტაჟი,													
VII ეტაპი	შენობა ნაგებობის საძირკვილის, მონითური რკინა ბეტონის, სარდაფის კედლების, სვეტების და პილონების მოწყობის სამუშაოები მოწყობის სამუშაოები, ასევე საძირკვლის ღერძები E-J, 2-7', A'-A 2-7') -8.70 დან 0.00 ნიმნულამდე.													
VIII ეტაპი	შენობა ნაგებობის ლოკალური საინჟინრო -ტექნიკური ქსელების მოწყობა													
IX ეტაპი	შენობა ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები													

Ns studio
0179 ბაზალეთის ჭუჩა №3
ქ. თბილისი, საქართველო

Tel: 593 27 88 58
info@nsstudio.ge

ქ. თბილისი, ერწოს ჭუჩა, ს/კ
01.12.08.010.116
არსებული შენობის დემონტაჟი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ლუკა ჩაგანავა

ნინო ჯანტურია

დავით ბალავაძე

ბელა გოგოლაური

ქ. თბილისი 2026წ

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:
-ნახაზი მო-1----------“სამშენებლო გენგეგმა”

ა) განმარტებითი ბარათი

1 სამშენებლო ტერიტორიაზე, ქ. თბილისი, ერწოს ქუჩა №15-ის მიმდებარედ, ს/კ 01.12.08.010.116 განლაგებულია სადემონტაჟო ორსართულიანი სარდაფით შენობა-ნაგებობა. ტერიტორიას აქვს სწორი რელიეფი. ტერიტორიაზე განლაგებულია მშენებარე მრავალსართულიანი ობიექტი.

კონსტრუქციულ თვალსაზრისი შენობა აქვს:

--საძირკველი---ლენტური რკინაბეტონის;
--კედლები-------ბეტონის მცირე ზომის ბლოკები;
--გადახურვა----მონოლითური რკინაბეტონის;
--სახურავი------მოთუთიებული ქანობიანი ხის კონსტრუქციებზე.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--საერთო ფართი სარდაფის სართულის----------310.62მ^2;
--საერთო ფართი პირველი სართულის----------342.44მ^2;
--საერთო ფართი მეორე სართულის----------361.61მ^2

2 ვინაიდან დემონტაჟის სამუშაოების ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია **3.0 თვე**, სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

--მშენებლობაზე არადასაქმებული ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;
--დროებითი საფარიანი ღობის მოწყობა;
--ნაგვის გატანა ტერიტორიიდან და შიდა სივრციდან;
--სადენების და მილების მოხსნა ფასადიდან /არსებობის შემთხვევაში/;
--არსებული შიდა ქსელების გამორთვა;
--დროებითი "ფართების" განლაგება არსებულ დამხმარე ნაგებობაში;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით ქალაქის არსებულ ქსელებიდან;
--აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ.

3 სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს **ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით**. სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

ყველა მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების **შეჩერება.** ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

მსუბუქი კონსტრუქციების გამო, სამუშაოების განხორციელება მოხდეს ხელით.

მუშა-პერსონალის მუშაობის უსაფრთხოების პირობები:

--მოეწყოს სამუშაო მოედანზე გამაფრთხილებელი და აკრძალავი ნიშნები.

სახურავის და სახურავის კონსტრუქციების მოხსნის პირობები და თანმიმდევრობა:

---მოთუთიებული ფურცლების მოხსნა;
---შეფიცვრის დაშლა ზედა წერტილიდან კარნიზამდე;
---ხის კონსტრუქციების კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით და შემდეგ დემონტაჟი;
---სამუშაო ადგილების პერიოდული დასველება
შენიშვნა: სამუშაოების განხორციელებაში მუშების ასაკი არ უნდა იყოს 18წლის ნაკლები.

ბლოკის წყობის დაშლის პირობები და თანმიმდევრობა:

---პირველ რიგში ხდება ზედა რიგის დაშლა;
---ინსტრუმენტის გამოყენება /ძალაყინი/ ხდება ჰორიზონტალური ნაკერების მიმართულებით;
---შიდა ხარაჩოების დაყენება;
---სამუშაო ადგილების პერიოდული დასველება
შენიშვნა: შიდა ხარაჩოები უნდა იყოს ქარხნული ინვენტარული ტიპის. სიმაღლე---900მმ-1800მმ, სიგრძე—5500მმ, სიგანე – 2400მმ, მასა 234კგ.

მონოლითური რკინაბეტონის უბნების დაშლა პნევმოჩაქუჩებით.

4 სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს შემდეგი კანონის საფუძველზე:

საქართველოს ორგანული კანონი "შრომის უსაფრთხოების შესახებ":

ა/ ამ კანონის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის

მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

ბ/. ეს კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

გ/. ეს კანონი აწესრიგებს დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სპეციალური კანონი განსაზღვრავს ამ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს.

საქართველოს ორგანული კანონი "შრომის კოდექსი":

ა/. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ბ/. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

გ/. შრომითი ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ნორმები, რომლებიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-15/ნბრძანება:

ა/. დამსაქმებელმა ყოველ იდენტიფიცირებულ საფრთხესთან მიმართებით რისკის შეფასების დოკუმენტის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოს ყველა ის პირი, რომელსაც შესაძლოა მიადგეს ზიანი იდენტიფიცირებული საფრთხის შედეგად. ამასთან, იდენტიფიცირებული უნდა იქნეს ამ პირთა პოზიციები, მათი სამუშაო ადგილი."

საქართველოს მთავრობის №429 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი:

ა/. ტექნიკური რეგლამენტი ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (შემდეგში - რეგლამენტი) სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმეთათვის.

ბ/ რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს ამწე მოწყობილობის, პროექტირების, დამზადების, რეკონსტრუირების, რემონტის, მონტაჟის და ექსპლუატაციის მიმართ.

საქართველოს მთავრობის №370 დადგენილება /2015 წლის 23 ივლისი ქ.თბილისი/ "სახანძრო უსაფრტხოების ჭესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე".

"მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი" საქართველოს მთავრობის დადგენილება №361

ა/. ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე: ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციის, ელექტრო და აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მიწის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს.

საქართველოს მთავრობის №457 დადგენილება "სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნები".

ა/. „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნები" შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიზნებიდან გამომდინარე და ადგენს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის განმსაზღვრელი ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 "ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი. /2023წ 1 მაისი. ქ. თბილისი/

ა/. „ტექნიკური რეგლამენტი – ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ" (შემდგომში – რეგლამენტი) შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიზნებიდან გამომდინარე და ადგენს სამუშაო სივრცეში ტვირთის ხელით აწევისას (განსაკუთრებით ზურგის დაზიანების რისკის პირობებში) დასაქმებულთა და სხვა პირთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის №590 დადგენილება /2022წლის თბილისი/ ტექნიკური რეგლამენტის სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვისსაშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრტელობის დაცვასთან დაკავშირებული მოტხოვნების დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს მტავრობის ტექნიკური რეგლამენტი №477

გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები

ა/. ტექნიკური რეგლამენტი – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) განსაზღვრავს სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებისას ძირითად მოთხოვნებსა და პრევენციული ღონისძიებების ზოგად პრინციპებს იმ სამუშაოებზე, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე (მათ შორის, ჭები, ღიობები, ნათხარი გრუნტები და ა.შ.).

ბ/. ტექნიკური რეგლამენტი აწესებს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებებს, რომელიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

გ/ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი.

.

საქართველოს მტავრობის 27.05.2014წ დადგენილება #361

ა/ ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე: ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციის, ელექტრო და აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მიწის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს.
ბ/ . ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამუშაოთა წარმოების დროს.
გ/ სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვისათვის.

5. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1 ერთად.

მანქანა-მექანიზმების უწყისი

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ერთ გან.	რ-ბა
1	სამშენებლო ლითონის კიბე ბაქნით	ც	2
2	საკომპრესორო დანადგარი	ც	1
3	სანგრევი ჩაქუჩები	ც	2
4	ნიჩაბი	ც	4
5	ელექტროსახერხი	ც	2
6	სპეცტრანსპორტი	ც	4
7	შემდუღებელი აპარატი	ც	2
8	ექსკავატორი /.ნაგვის დატვირთვა/	ც	1

შენიშვნა: სანგრევი ჩაქუჩების, ელექტროხელსაწყოების და საშემდუღებლო აპარატის გამოყენება განხორციელდეს შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით!

თვითმცვლელების ტვირთამწეობა

N	დახასიათება	ГАЗ-335	ЗИЛ-ММЗ-4502	МАЗ-5549	КАМАЗ-5510	КрАЗ-256Б1
1	ტვირთამწეობა, ტნ	3.50	5.80	8.00	12.00	10.00
2	მოცულობა, მ^3	2.50	3.90	5.10	6.00	7.20

შენიშვნა: თვითმცვლელის მარკა შერჩეული იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად დატვირთული ნაგვის მოცულობის მიხედვით

ბ) კალენდარული გეგმა T=3.0 თვე

N	სამუშაოს დასახელება	დღე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხ. განმარტებითი ბარათი/	5																		
	ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები																			
1	სახურავის ფენილის და სახურავის ხის კონსტრუქციების დაშლა	10																		
2	კარ-ფანჯრების და გისოსების ამოღება, ტიხრების დაშლა, იატაკის აყრა	15																		
3	კედლების, სართულშუა გადახურვის და კიბის დანგრევა	30																		
4	სარდაფის სართულის დანგრევა	15																		
5	გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის დანგრევა-ამოღება.	15																		
	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		


ЗЕМЕЛЕН ПАРЦЕЛ
ПЛОЩ ПО ДОКУМЕНТ
ПЛОЩ ПО ИЗМЕРЕНИЕ
ЗАСТРОЕНА ПЛОЩ
ОБЩА ПЛОЩ НА ИМОТА
ЗАСТРОЕНА ПЛОЩ ПО ПРОЕКТ
ЗЕЛЕНИНИ ПО ПРОЕКТ
ПЛОЩ ЗА ПАРКИРАНЕ ПО ПРОЕКТ
ПЛОЩ ЗА ПАРКИРАНЕ ПО НОРМАТИВ